ნიანგი

24

გამოცემის 55-ე წელი, (№ 1538) დეკემბერი 1978, ფასი 20 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ასე ცარიელ-ტარიელს მიშვებთ საქართველოში?!
— იქ წელს ისეთი მოსავალი იყო, თვითონ გიმასპინძლებენ!

შენ მოდიხარ!...

შენ მოდიხარ, შენ იცვლები, თუმცა კიდეც მეორდები, —
ისევ გული გადაგხსნია, ისევ მეკვლეს ელოდები!
მოგაქვს ფიქრიც, სიტყვაც, საქმეც, უღალატო — წადმართული,
ვის უნახავს საქართველო, ასე წელში გამართული?!
წელო, დამხვდურს ვერ დასძრახავ, პურ-ღვინო გვაქვს საკადრისი,
ვინც შენ მხარში დაგიდგება, სადღეგრძელოც ალალ მისი!
უარს, აბა, როგორ გვეტყვი, გიძღვნით საახალწლო ძღვენსა,
ელვის მწყემსით — ენგურჰესით — უკვე ვართმევთ ენგურს მზესა!
წელო, ნატვრის ლამაზ ხეზე კარგად ვხედავთ, რაც გიხსია,
ფესვზეც, წელზეც, კენწეროზეც მწიფე ხილი — ხარისხია!
დიდჩაის და დიდყურძნობის ესტაფეტას, გატყობ, ელი,
ზღაპრულ შრომით მოვიწიეთ ის ზღაპრული, დიდი რთველი!
ზურგის ქარი, მგოსნის ქნარი ანანავებს დღეს ჩვენს აფრას,
ვერც შამ-აბასს, ვერც შაჰ-სეტყვას ვენახი ვერ აუკაფავს!
წელო, სიტყვის აკიდოდან ჩამოგიხსნით ნარჩევ მტევნებს,
ამოფრქვევა შენი ნიჭის ბეკრს და ბეკრჯერ გააშტერებს!
ცოტანი ვართ? — უკაცრავად, გავახილოთ თვალი, გვმართებს,
ჩვენს მიწაზე არასოდეს უცხოვრია ამდენ ქართველს!
არასოდეს არ ყოფილა შენი ნერგი ასე მძლავრი,
შენი ენა, შენი ფიქრი, შენი ციხე და ტაძარი!
შენი შუბლის მოსავალი ღმერთმა ნურსად დაატიოს,
უკმარობის ნიაღვარი ხომ უყვარდა გალაკტიონს?!
დაგებედოს ცადაფრენის, ბრძოლის ყინი დაუმცხრალი,
შავ მერცხალთან დაფრინავდეს გამარჯვების სხვა მერცხალიც!
ერთი ნონას, ორი ნანას და მაიას გაელვება,
საჭადრაკო საქართველოს ოთხ ტკბილ ხმაზე ამღერება!
არა ძალით, არა მჯიღით, არა თავზე მოხვეული,
ყველგან ასე დაგიწყვილდეს შენ მსოფლიო ოთხეული!
ბურთსაც ქართულ ბეჭედს ვურტყამთ, გამოვჭერით ყელი იჭვებს,
ახლა დროა, ჩემპიონთა თასიც ვთხოვოთ ოჭრობიჭებს!
კიდევ რაღა აგირჩიოთ სურვილების მარაგიდან?! —
დაპირება დაპირებად დარჩეს, — არც შენ აღარ გინდა!
რა ფასი აქვს (ანდა წონა!), ან მსმენელი, მითხარ, ვინ ჰყავს,
ერთი ყბიდან მეორეში გადაღებილ აზრს თუ სიტყვას?!
წელო, უნდა აიცდინო (ცდუნებაა თუმცა დიდი), —
ხბოს ბღავილის მოტრფიალე ტვინსუსტი და ენაფლიდი!
ჩაუღრმავდი ძირძველ საქმეს, ნუ შეხედავ, როგორც კინოს,
რა იქნება, სატკივარი თუ გვაღონებს, შენც გეტკინოს?!
წელო, ერთიც უნდა გითხრათ, ოღონდ ჩუმად, არა რიხით,
გაიხედე წელის მიღმაც, ცოტა მაღლა, ცოტა იქით!...
თხუთმეტ საუკუნეს ითვლის! — შეშურდება ბარე ორსა,
შენ გაბარებთ., შუშანიკს" და 17 წლის ჩემპიონსაც!
ძალი შეგწევს! გულიც გერჩის! სიტყვაც გქონდეს უქადილო,
ჩვენს მტერს, წელო, ჩვენი მტრობა, ვინძლო, არ გაუადვილო!
შამფურს კიდევ შეველევით, არ დაგვიწვას ოღონდ მწვადი,
ტკბილად, ტკბილად დავაძვლოთ ეს ახალი წელიწადი!..

ზაზა კაციაშვილი

ნახ. მ. აბაშიძისა



— როგორ, არა გჯერა, თოვლის გაგუა რომ არის?!

შეჩერდი, წელო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დადგა დრო, უნდა წავიდე! — თქვა ნაბადში გახვეულმა და ხურჯინმოკიდებულმა 1978-მა წელმა.

— წადი რა, შენისთანები ბევრი გამიცილებია, რას მაშინებ?! უპასუხა ცეცხლისპირას მიმჯდარმა თედო პაპამ.

— დედი, ნუ გაუშვებ, რა! — იყვირა ლაშამ.

— შვილო, დაბერდა, დღენი გამოელია და, აბა, რა ქნას, ახალ წელს ხომ უნდა დაუთმოს ადგილი? — დაუყვავა დედამ და თან გოზინაყის დაჭრას შეუდგა.

— პაპა თედოც დაბერდა, მაგრამ, აბა, ვინმე დაჯდეს მაგის ადგილზე!— ჩაიქილიკა რძალმა.

პაპა თედო სამფეხა სკამზე შეიშმუშნა და ჩაილაპარაკა: — ამას, მგონი, უნდა, რომ მეც გამაყოლოს ნაბდიანსა, მაგრამ ვერ მოგართვით!..

— ცოტა ხანს კიდევ იყოს, ჩემს ცხოვრებაში ასეთი ლამაზი წელიწადი არ მახსოვს! — შეეხვეწა დედას ნულკლასელი ნინო.

— ნეტავ რა მოგეწონა ეგრე?! — ჰკითხა ღიმილით დედამ და საახალწლო სუფრის გაშლა დაიწყო.

— როგორ თუ რა, ვერა ხედავ, რამდენი ყურძენი მოგვივიდა, რამდენი ჩურჩხელები და ფელამუში გვაქვს?!

— ახლა ღვინო თქვი, აღარ ვიცით, სად ჩავასხათ! წაეშველა ნინოს პაპა და ძველ წელიწადს ყანწი შეუვსო, — წასვლისა მაინც დალიე, შე ბებერო, შენი მოწეულიაო.

— ახლა ჩაის მოსავალი რანაირი იყო, აღარ იტყვი? — თქვა ბებომ და ჩაიდანი შემოდგა ცეცხლზე.

— ჭადრაკში რომ ორი დედოფალი გვყავს და არგენტინაში რაც ჩავიდინეთ, წელს არ იყო? — დაიძახა ნინომ.

— ხალხო, ორმაგი ჩემპიონები რომ გავხდით ფეხბურთში, ხო არ გავიწყდებათ?! — ჩაერია ლაშა.

— სპორტში ხომ ტროუმფი გვქონდა, მაგრამ ენგურჰესზე რაღას იტყვით, ამ ფეხკეთილს არ უნდა ვუმადლოდეთ?! — თქვა ახლა მამამ, ჭიქა მიუჯახუნა 1978-ს, თან ნაძვის ხის ფერადი ელნათურები ააციმციმა.

— ახლა კოსმოსის გმირობაცა თქვი! — დაუმატა რძალმა და ტელევიზორი ჩართო.

— მამი, მამი, ისინი რაღა იყო, რამდენი დიდებული ზეიმი ვნახეთ? — არ ცხრებოდა ნინო.

— რომელი ერთი გითხრა, შვილო, კომკავშირის ზეიმიც იყო, უნივერსიტეტისაც და რამდენიმე კიდევ სხვა, აი, თუნდაც მწერლების იმ თავყრილობას რა დამავიწყებს, მსოფლიოს რომელი კუთხიდან არ იყვნენ აქ.

— მაშ, რა ვქნათ, ბავშვებო, შევაჩეროთ დრო? — იკითხა დედამ.

— შევაჩეროთ, შევაჩეროთ! — იყვირეს ბავშვებმა.

— მაშ, შეჩერდი, ძვირფასო 1978 წელო, გაგვიხანგრძლივე ბედნიერება! — სთხოვა დედამ.

— გმადლობთ, ჩემო კარგებო, დროის ფასი რომ იცით და ჩემს ნაღვაწს ასე აფასებთ, მაგრამ შეჩერებით ვერ შევჩერდები, ჩემი უფროსი — უსასრულობა — მელოდება, წლიური ანგარიში უნდა ჩავაბარო და, ეგეც არ იყოს, თუ 12 საათზე ჩემმა რეისმა გამასწრო, ხომ იცით ჩვენი ტრანსპორტის ამბავი, შეიძლება, მართლა დილამდე აქ დავრჩე და ახალ წელს კი ეწყინება, დროის ლიმიტის ამბავია. ერთადერთსა გთხოვ: მხოლოდ — აი, ეგრე ტკბილად მომიგონეთ ხოლმე!

ამ დროს 1978-ის მხარზე გადაგდებული ხურჯინი ცოცხალივით შეირხა და კინაღამ ჩამოვარდა.

— ეგ რა მიგაქვს, ამხანაგო?! აბა, ეგენი არ იყოს! — შეუტია თედო პაპამ.

— რა გინდა, შე ბებერო?! ხომ არ გინდა, მართლა შენც ამასთან ერთად გაგიყოლო?! — დაემუქრა 1978.

— შენ ის გეყოს, რამდენი ძვირფასი სიცოცხლეც გაიძღოლე უსამართლოდ! — გაჯავრდა მუქარაზე პაპა თედო, — ჩქარა მაჩვენე, კიდევ ხომ არაფერს აპირებ ურჯუკს!..

— რა გინდა, კაცო, რას ჩამაცივდი?! — დაიხია უკან 1978-მა, — ანტიპოდები მიმყავს, შენ რა... — და პირი გადაუწია ხურჯინს, იქიდან თავი საცოდავად ამოეყოთ მლიქვნელებს, გამომძალველებს, პროტექტორებს, ბიუროკრატებს, ცილისმწამებლებს, მუქთახორებს, მექრთამეებს...

— ჰოო, ეგენი წაიყვანე, მაგათი ქოქი გაწყდეს, მე რას მერჩი?! — შესძახა თედო პაპამ და ცივად წააფხატა ხურჯინს თავზე.

ამ დროს კარებზე კაკუნი გაისმა.

— ხომ ვთქვი, უნდა გავასწრო-მეთქი?! ახალი წელი იქნება! — დაფაცურდა 1978.

კაკუნი ისეთ მძლავრ ბრახუნად გადაიქცა, რომ ლაშამ თვალები დააჭყიტა და ლოგინზე წამოჯდა შეშინებული.

— დაგეძინათ, ბიჭო?! მეკვლე ვარ, გამიღეთ!

ღია კარიდან ზამთრის სუსხი და მეზობლის ბიჭი ერთად შემოიჭრნენ.

— შემოვდგი ფეხი! გწყალობდეთ ღმერთი! დაესწარით მრავალ ახალ წელს! — იყვირა მეკვლემ.

თანდებოდა 1979 წელი.

ჟამთაგმერი

გამოჩენილ ქართველ პოეტს, დრამატურგსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალის — „საქართველოს ქალის“ — რედაქტორს, **მარიკა ბარათაშვილს,** დაბადების 70 წლისთავი შეუსრულდა.

ამ თარიღთან დაკავშირებით, საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში გაწეული ღვაწლისათვის, მწერალი შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა.

ჟურნალ „ნიანგის“ რედაქციის კოლექტივი მხურვალედ ულოცავს ძვირფას ქალბატონ მარიკას სახელოვან იუბილეს, ამ მაღალ ჯილდოს, უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ახალ-ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს!

სამოცდაათი წლის მარიკა ბარათაშვილს

მკითხველთა გულებისაკენ ვარდებიანი ბილიკით
მიდიხარ! — მიგაქვს სურნელი მარადქალური ლირიკის!
იღვწი ქართველი ერისთვის ყოველი დღის გათენებით!
შენს ნატერფალზე ჰყვავიან იები, ქრიზანთემები!..
სხვის გაჭირვებას, სხვის ტკივილს საკუთარივით განიცდი
და ეხმარები სუყველას დაუზარებლად, ხალისით!
ძილშიც ვჩურჩულებ შენს ლექსებს — „ფოთოლი“, „გამოთხოვება“! —
არ შეუძლია არავის იმათი არმოწონება!
ცისკარფენილი სიცილით სავსეა შენი „ჭრიჭინა“!
როცა სიცილი მწყურია, — ხელში „ჭრიჭინა“ მიჭირავს!
მიკვირს, რად აითვალწუნა „ნიანგი“ შენმა სიცილმა?!
ჩვენთანაც ითანამშრომლე ხანდახან! (თუ გსურს — ხშირ-ხშირად!)
მწამს: შენს გალობას მოასწრებ! წელთა სიმძიმე ვერ დაგღლის
და ბევრჯერ აღგვაფრთოვანებ ცრემლით — წმინდით და სპეტაკით!

* * *

ლექსის რიტმი მე შევცვალე, რათა, გითხრა უფრო ნელა:
ხალხი მღერის შენს ფრესკალექსს, მარჯნისფერ ლექსს — „საპოვნელა“!
სიკეთით გაქვს სავსე გული და დაგნათის თვალი ღმერთის!
ხარ სინათლის, სიხარულის, სიყვარულის ყვავილეთი!
სიტყვისა და საქმის ძალით, გვინდა, მეტად შეგვათრთოლო! —
ოქრო „საქართველოს ქალის“ დიდო დედარედაქტორო!

ზაურ ბოლქვაძე

მეგობრული შარჟი **გ. ფირცხალავასი**



ნახ. **გ. ლომიძისა**

— გია, აი, ნამდვილი თოვლის გაგუა!

შეკითხვები პასუხებით!

— ბორჯომის წყალი უფრო ძვირია თუ ბორჯომის ბოთლი?

— ბოთლი, მაგრამ ერთი უპირატესობა აქვს: ჩაბარების დროს იაფდება.

* * *

— საქვეყნოდ ცნობილი გოგირდის აბანოდან რა შემოგვრჩა?

— გოგირდის სუნი!

* * *

— დირექტორი ხშირად ჭადრაკს მეთამაშება, მოგების შანსებიც ხშირად მაქვს, რა ვქნა?

— თუ გსურს დაწინაურდე, ხშირად წააგე!

* * *

— რესპუბლიკის გზებსა და გზაჯვარედინებზე გეგულებათ ისეთი ავტომძღოლი, მოძრაობის წესი ერთხელაც, რომ არ დაერღვიოს?

— ასეთი მძღოლი სანთლითაა საძებნელი.

* * *

— რომელი უფრო საშიშია — ყაჩაღი თუ გადამყიდველი?

— ყაჩაღი მდიდარსა და ღარიბს არ-ჩევს, გადამყიდველისთვის ორივე ერთია.

ჟანი სიხარულიძე

ეპიგრამები

„ქართველს თუ რამეს შეუქებ, ცოლსა და „ფეგელს“ გარდა, ყველაფერს გიდგეს ჭაბუქნესს!“

ალ. დიუმა

დედაენა სამას სამოცდაშვიდოს ბრეზგას ასრულებდა და ახალ წელს ცენტრიდანული ძალით ისროდა ხალხში. მას თოფების ბათქაბუთქით, ყანწების დაცლითა და უამრავი საჩუქრით ხვდებოდნენ. ალბათ, ყველა იმას, ვისაც ეზრი მოეკა, რომ ახალ წელს მხოლოდ კალენდრის ფურცლის ჩამოხვევით შეხვდეს, მკრეხელა და წუწუტაქს შეარქვეენ. ამ დროს ზღუბალზე ყველა საჩუქრებზე ფიქრობს, ხალხნო! ღმერთმა მეტი სიფიქრალი ნუ მოგცეთ! ეროდ, ეი, ამგვარ კიბშესს მოიცეი ერთი წარმოგბის დირექტორო, როცა მის კაბინეტში მასთან დაახლოებულ თანაშრომელი შეკიდი ახალი წლის მისალოცად. დირექტორის სახე სევდას მოეცეა. ამ პანტომიმამ თანაშრომელი შეაცბუნა და გულამოჭდარმა ჰკითხა:

— რამ დაგაღონეთ?

— სატუქრებმა, სატუქრებმა! როგორ, შენ ჯერში ზიხარ?! ახალი წელი ახლოდება!

— ვიეი და, მიტომაც ცოლისათვის ფრანგული სუნამო ვიყიდე!

— მერე? — ცნობისმოყვარეობა ხეთავდა დირექტორს.

— გოგონას ჯინსის კაბა, რომელიღაც თეთრკვარდიელის სახელობისა...

— მიდი, მიდი! — სულს ვერ თოქვამდა დირექტორი.

— ბიეს სერთიფიკატებზე „ბუმაენი კორტა“ ეუფიდე! საკმარისი არ არის?

— მეტიც არის! ეჰ, წლის ბოლოა, ვერსად ვერ გიდღიკარ!.. მეც კი მაქვს სერთიფიკატებს!..

თანაშრომელმა უფროსის იდუმალი კოსტრატიზეცა მიიღო და თავისი საჩუქრები ხვეწა-მეფარით ჩაბარა. თვითონ კი ფრანგული სუნამოს რიგს შეეცა, მერე ჯინსის კაბა მოიპოვა და როცა „ბუმაენი კორტაკეს“ სერთიფიკატებით ჩუქ-ჩუმად გამოიტანა, სამსახურში დაბრუნდა. თავის ოთახში არ იყო შესული, რომ დირექტორის მოადგილემ თავისთან გამოიძახა:

— ვინც მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს, იგი კოლექტივს გიორბის! პატრიოტიზმი კოლექტივში უნდა გამოამეღოვნო! — მოადგილეს თავისი აზრის სიბრძნე ისე ჩაატანა ბირში, რომ სიამოვნებისგან ტეჩები გაიღეკა.

— მე ჩემი კოლექტივის პატრიოტი ვარ! — გაწყლდა თანაშრომელი.

— მაშ, თუ ასეა, რატომ იჩენთ განდგომას, რატომ ყიდულობთ უჩუმრად სატუქრებს?! — ჰკითხა მოადგილემ.

— ციოსსრმებაა! ხალხს თვალწინ ეუიდულობდი... პატრონი რომ მყავდეს, ოჯახის თავგანწირვისთვის სულ ცოტა სანატორიუმს საგზურით დამაყალიდებდა, თქვენ კი მეუბნებით, უჩუმრადო! — უჩუმრად არ იყო, დირექტორს სატუქრები რომ დიფთმე?! დამაკადე!— დაემტერა მოადგილე.

მეეკრთ დამნიგნეტმა თანაშრომელმა თვითონ? შესთავაზა თავისი საახალწლო სატუქრები... კალთ დოფარა მაღაზიებს.... რიგებს ანეემატერი ბერიღვთ ბერეტდა და ორპირი ქარიეთ დაქროდა შიგ. სამსახურში ისევ და ისევ სატუქრებთ მიეიდა. კორიდორში მთავარი ბუღალტერი დაუხვდა:

— ყმაწვილო, ყველასთვის რომ ხარ გულეკეთილი, მე რა, გეკეი შეგიწეი? რაღაც ფრანგიულ დუხეს რომ ეუშესაკ უფროსისას, მე აქ ეკეი სტარონო ხოთ არ გვინეკარ?! სარგებლობ იმით, რომ წლიურ ბალანსს ვაკეთებ, გარეთ ვერ გიდღიკარ! ვანა მე არ მაქვს ფარა! — ბუღალტერმა ჯიბიდან ფულები ამოიარა.

დირექტორთან დაახლოებულმა თანაშრომელმა იაზრა: არ ღირს ამგვარი წარიღლანისათვის ბუღალტერთან დაცილებათ, თავისი საახალწლო სატუქრები მასაც დაუთმო და კვლავ შეუტია ფრანგულ სუნამოს, ჯინსის კაბას, „ბუმაენი კორტკას“. როცა ყველაფერი შეიძინა, თავისი თავი ღრმად შთაბეჭდა: დღეს ალარ წავალ სამსახურში, ვინ გამომელეკს უფროსობასს ესეე არ იყოს, მომბეზრდა მაღაზიებში სრესა-ღრეკა... მე მაგათი ხელის ბიეზ არა ვარ! თანაშრომელი ვარ, თანაშრომელი! და, როცა თავის თავი სრულდა შთაბეჭნა, ანაზდად სახალხო კონტროლიორმა ჩკლესში ხელი გაუკარა:

— ვისთვის, რისთვის ამდენი საახალწლო სატუქრები?!

ნაბალწლეულ სამსახურში ყველა ჩურჩულ-კურკურებდა: ის, დირექტორთან დაახლოებული, ყველას რომ პატიოსანი გვეგინა, სპეკულანტი ყოფილა.

— აი, ასეთები არცხვენენ კოლექტივს! — დირექტორი ამ ფრაზებით იწყვედა სასამართლოში გამოსასვლელ სიტყვას.

მოდით და ენდეთ ერთმანეთს!

ა. ადილი

ბაჯალლო ოქრობიეებო,
ჩემმაიონობას გილოცავთ,
ყოველ წელიწადს გიფურვებთ
ასეთ მშვენიერ შინ მოსვლას!

კვლავ გიმეორებთ
დამარცვლით:
ჩვენთვის, ახლანდელ დროშია,
ფეხბურთთ მარტო თამაშო
და მარტო ბურთი როდია!..

უკვე მხოფლიოს მოედო
და ალარ არის მალეული,
რომ საჭირომ მოედნის
ხელაა თქვენი მამეული!..

არა, არ ბატუდეთ ამიტომ
და არ ეამტუუნონ მუხლებმა!
ამ მოედანზე გეკონდეთ
ბურთიც და თავისუფლებაც!

ამ მოედნისთვის იბრძოლეთ!
აჯობეთ შემტეკ გრიგალებს!
გამოიყენეთ ბურთისა
და დედამიწის სიმრგვალე!

რა ვუქოთ, ზოგი არბიტრიც
თუ ზოგჯერ ნაღდ გოლს ალ
გითვლით!

სულ ესე ხომ არ იქნება?!
ხომ შეიცვლება ამინდი?!

ჩემმაიონთა თასს ეხეჩაფვეთ
სხვა შემაჯობეთი, სხვა სჩრაფვეთ,
მისთვის გამართულ ბრძოლებში
აღარ დაიხსთ თ ა ხ — ლ ა ფ ი!

ყველგან ქართულად იქუხეთ,
ყველგან ქართულად იმეკეთ!
საქართველო დგას თქვენს უკან!—
აბა, თქვენ იცით, ბიეებო!

ზაური ბოლქვაძე

ნაკვესები

● **საახალწლოდ** წყალნარევ ღვინოს ჰყიდდა და თავს იმართლებდა, ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ვიბრძეიო.

● **ობივალელს** ჭკითხეს, ახალი წლის მოსვლა რად არ გახარებსო და — შინაგან ჩყუფხოვიანს მირეკვეესო.

● **შურიანმა** თქვა: ახალი წლის მოსვლა მხოლოდ იმიტომ მაწუხებს, რომ ყველას ახარებსო.

● **სპეკულიანტს** ახარეს: ახალი წელი მოვიდაო და — აბა, სად არის, დამანახვეთო?!

● **მეკვლემ** ახალი წელი ნიუოლეა დამკვრელს და — გმადლობთ, ის უკვე გავისტუმეოო.

● **ისთი** მურიანი იყო, წუხდა, ახალი წელი სხვებისთვისაც რომ დგებოდა.

● **ყველა** თოვლის ბაბუას ეფერებოდა, ნამდვილი ბაბუა კი არავის ახსოვდა.

● **ქალმა** წელმა თქვა: ახალ წელს ჩემი ხორაგით ხვდებიან და მე არც კი მახსენებენეხო.

● **ისთი** ბიუროკრატი იყო, ახალი წლის მიღებაც არ სურდა.

● **მუეთახორას** ახალ წელს ულოცავდნენ, ის კი იცინოდა, ჩემთვის ყოველდღე ახალი წელიაო.

● **მეკრთამეს** მეკვლის მოსვლა ბავშვებზე უფრო უხაროდა.

ალმანზორ თავაძე

● **ქალაქელი** ბავშვები თოვლის ბაბუას ეფერებოდნენ, სოფელელი ბაბუა კი — შვილიშვილებს სურათებს.

● **ახალ** წელს ახალმა სიძემ სიმამრის მიერ ნაჩუქარი ახალი „ჟიგული“ ახალ ბოძს ახალა.

● **იმდენი** დალია მეკვლემ, შინისკენ მიმავალი გზა-კვალი აერია.

● **ქეიფიც** ახლებურად უყვარდა — ძველით ახალი წლის სადღეგრძელო ძველი ღვინითა და ახალი სასმისით შესვა.

● **საქმოსანმა** თქვა: ჩემთვის ვასული წელი საქმეში და სასამართლოზე გასული წელი იყოო.

● **მასპინძელი** მეკვლეს აქებდა, კარგი ფეხი აქვსო, მთვრალი მეკვლე კი ფეხზე ვერ დგებოდა.

● **მეკვლე** ას ხუთი წლის ბერიკაცს ლოცავდა, ასე ტკბილად დამიბერდი და ას წელს გეცოცხლოსო!

ვანო ციცაკაძე

ფკიბურტები

სასწაულების დრო რომ დგას,
იმიტომ ვნაცრობ ამასო:
ეგეც დაგვიდოს ქათამმა
კაკალი, კვერცხის სანაცვლოდ!

დიდება მეზიაიეს,
პირდაპირ, თავი მოიკლეს!
გგჯერა, რომ „ქართულ ჩაიზი“
მტკვერი წელს მაინც მოიკლებს!

ბენაცვალეთ, მეგაზენო,
დასტურ ზორბად მუშაკობდით!
ახლა მაინც ვადღეეგრძელებთ
ერთურთს ღვინით — უშაქროთ!

სიგარეტზე არვის ეთქვას,
თუ არ მომცემ, წაგართმევო!
დასლეს ქვემოთ „ეროა“ ეწყოს,
დასლეს ზემოთ — „საქართველო“!

ულაფრთხოვების ჩამარმა
ზოგს უყისმათოდ უყვეა,
ზოგი არაფრად არ აგდებს,
მე კი გამჭირეს წუხელაც!..
ანდა — არაგის ეკეთოს,
ანდა — ეკეთოს სუკვლაას!

პოლიგრაფიატეტს ვუსურვებ,
აშკარად, ბანა პაროლით? —
კარგად დასტამშუდ წიგნებით
ამშვენონ წიგნის თარეხი!

მუღო, შენ გეუბნები და,
რძალო, შენ გაიგინეო, —
ძეირფას მეურეობასაც არ აწყენთ,
რომ აიმაღლონ დინეო!

ოთარ ფალავანდრიძე

ნახ. გ. ფირცხალავასი

— რას შვრები, კაცო?! უმ ქათამს ჭამ?!
— ამას ბაზარში ისეთი ცეცხლი ეკიდა, რომ თავისით შეიბრაწა!

ალსართანის ალსარება

საახალწლო ნაძვის ხესთან ალსართანის გამოჩენა არავის შეუმჩნევია. მხოლოდ თოვლის პაპას ეუცხოვა, დაეჭვებით ასწია თავი და ავი თვალით შემოხედა. ალსართანს გუნება მოეშხამა, ბავშვებს ხელი უშვა და გაპარვა სცადა, მაგრამ უკვე გვიან იყო: თოვლის პაპა საჩუქრებს არიგებდა და ნელა უახლოვდებოდა მას. ალსართანმა ხელი გაუწოდა საჩუქრის ჩამოსართმევად, მაგრამ ბერიკაცს ზედაც არ შეუხედავს, ცივად ჩაულაპარაკა:

— მე შენთვის თოვლის პაპა კი არა, ბლაღოჩინი ვარ, თუ ალსარება არ მითხარი, ტკბილად ვერ დაგაბერებ!

ამდენ ხალხში გაწბილება და საჩუქრის გარეშე დარჩენა ძალიან არ უნდოდა ალსართანს, ამიტომ მორჩილად შეაფარა თავი ბლაღოჩინის კალთას და ცოდვების აღიარება დაიწყო.

— ტრამვაიში, ტროლეიბუსში, ავტობუსსა და მატარებელში ბილეთი არასოდეს არ ამიღია!

— შემინდვია! — მოესმა ბლაღოჩინის ხმა.

— უალაგო ალაგას პაპიროსი მომიწევია და ნამწვიც იქვე დამიგდია!

ეგონა, ასეთი წვრილმანი ცოდვების აღიარებით გადარჩებოდა, მაგრამ ბლაღოჩინმა პასუხად მხოლოდ ჩაიქირქილა.

— კაცი მომიტყუებია!

— შემინდვია!

— მომიპარავს, მაგრამ სახელმწიფო ქონება არა!

— შემინდვია! — ბლაღოჩინის ხმაში დაცინვა გამოკრთა.

— კაცი ნაცილით მომიკლავს!

ბლაღოჩინმა წარბი შეიკრა და დაფიქრდა.

— აქ მე შემინდვია, მაგრამ იქ უფალმა ღმერთმა მოგკითხოს!

ნგრევის ზონაში ცოლშვილიანად ჩავწერილვარ ფულითა, მერე გავყრილვარ ცოლ-შვილთანა და ოთხი ბინა ცალ-ცალკე მიმიღია ფულითვე... ოღონდ იქვე მადლიც მიქნია, ისეთები შემისახლებია ჩემს ბინებში ქირითა, ვისაც ნამდვილად ეკუთვნოდა საცხოვრებელი ფართობი და თანაც ოთუზბირი გამომირთმევია ყოველთვიურადა!..

— რამე წიგნი თუ წაგიკითხავს? — მწყრალად იკითხა ბლაღოჩინმა.

— სკოლის შემდეგ არა, სამაგიეროდ ბლომად მიწერია, ოღონდ ვერ დამიმტკიცებთ, რომ ისინი ნამდვილად ჩემი ნაწერებია, რადგან არც ერთისათვის ხელი არ მომიწერია... ფეხით ვწერდი!..

— ვერ შეგინდობ! — ხმა გაიმკაცრა ბლაღოჩინმა, — მხოლოდ მიგასწავლი განწმენდის გზასა! — უთხრა და ტურისტული საგზური გაუწოდა ციხეში უკანმოუბრუნებლად სამოგზაუროდ.

მედგარ რაზმითელი

ნახ. გ. ლომიძისა



— ამ ახალ წელს, მგონია, გადავრჩით: სპეკულანტებს ნიგოზი გაუძვირებიათ!

რცხვენია

„რა ღირს გოჭი?" —
გამყიდველს
ეკითხება მყიდველი,
გაკვირვებით უმატებს —
„რატომ არის წითელი?!"

ამ შეკითხვას პასუხს სცემს
მომწვანილი ქსენია —
„ძვირს ათასებს, ბატონო,
და საწყალ გოჭს რცხვენია"!

ვალერიან მოსაშვილი

საახალწლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დალოცვა შვენის ახალ წელს,
მე კი დავიწყებ წყევლით:
ზარმაცს და წელმოწყვეტილსა
გაწვრილდებოდეს წელი!
ქვეშქვეშასა და ქვემძრომსა
დაეხშოს ყველა ხვრელი!
ხელმრუდს, ხელმავნეს, ხელბოროტს
გახმებოდეს ხელი!
ბრაკონიერმა თოფისა
გასროლა ველარ შეძლოს,
მდინარეს როცა წამლავდეს,
ორივე ფეხი ელრძოს!
შურიანს შური შხამავდეს,
ჩამოდნეს, როგორც ცვილი!
ლოთბაზარას და ლოთიბაშს
გალურჯებოდეს ცხვირი!
ენამრუდს, ენამოცვეთილს
გამოექლიოთოს ენა!
სქელკანას, უსირცხვილოსა
აუტყდეს ოფლის დენა!
ახალ წელს ლოცვით იწყებენ,
მე კი დავიწყე წყევლით:
არ შერჩეს, ვინაც ხალხის ფულს
მხოლოდ თავისთვის წველის!
ქონება დარჩეს ობრადა,
ვინც იხვევს ხალხის ნაშრომს!
კრიტიკის ცეცხლმა გადასწვას,
ვინაც კრიტიკას ახშობს!
იბორგოს კარიერისტმა,
ვერ მოისვენოს ძილშიც,
ვერ იოკებდეს კანკალს
სკამის წართმევის შიშით!
ახალ წელს შვენის დალოცვა,
უნდა დაგლოცოთ გულით, —
ვინც სინდის-ნამუსს მიჰყვებით,
სიმართლის ნერგებს უვლით!
ვინც შრომით მამულს ამაღლებთ,
შუბლს ოფლის ცვარი გწყდებათ,
წუთები გექცეთ დღეებად,
დღეები გექცეთ წლებად,
სიხარული და ლხინი
ნურასდროს შეგიწყდებათ!

ნოდარ შამანაძე

ქრონიკები

პოლკოვნიკი ე დ მ ო ნ ს ო ნ ი ნიუ-იორკიდან იუწყება, რომ ბობი ფიშერი მზადაა შეხვდეს მატჩში ანატოლი კარპოვს. საქმეს ართულებს ისევ და ისევ ჰონორარის პრობლემა. ჭირვეული ბობი პრიზად თხოულობს თბილისურ როლინგსტონსა და ფეხსაცმელებს.

* * *

თბილისის 261-ე უნივერმაღში დამთავრდა ზრდილობის ერთთვიური, რომელმაც გამოავლინა გამარჯვებული — მაყვალა ნაზარდიშვილი. რაღაც ერთ თვეში ზრდილმა ქალიშვილმა ორჯერ პირველ შეკითხვაზევე უპასუხა მომხმარებელს და სამჯერ „თქვენობით" მიმართა. ბრძანებით მადლობით და ფასიანი საჩუქრით აღინიშნა დახლის მეორე უანგარო მუშაკის — ანგელინა ღიმილაურის საქციელი: მან ერთთვიურის ბოლო დღეს ნებაყოფლობით გაუღიმა კოჭის ძაფის საყიდლად შემოსულ მოქალაქეს.

* * *

ამ დ ღ ე ე ბ შ ი დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია ცრუპენტელათა და ბაქიათა საერთაშორისო კონკურსმა. სახელგანთქმულ ცრუპენტელებთან: ქოსატყუილასთან, ბარონ მიუნჰაუზენთან, ნაცარქექიასთან და სხვებთან ერთად კონკურსში მონაწილეობდნენ ახალბედებიც. კონკურსი აღინიშნა სენსაციით: დიდი პრიზი მოიპოვა მანამდე უცნობმა, დამწყებმა ცრუპენტელამ. მან ურცხვად განაცხადა, რომ თბილისში შუშის ტარის მიმღებ ერთ-ერთ პუნქტში, თითო ბორჯომის ბოთლში გადაუხადეს 12 კაპიკი.

მემატიანე

ნახ. ვ. კუციასი

— ერთიც დავლიოთ და ზუსტად 12 იქნება!

[redacted]

ერთი, ორი, სამი, ოთხი.

სანამ ვიყავ რძეჭამია,
დავდიოდი სახლში ფორთხვით,
თვლა ვისწავლე და ვიძახდი:
„ელთი, ოლი, ცამი, ოთქი".
სკოლაში რომ მიმაბარეს,
ვერ ავცილდი იქაც ფორჩილს,
ერთიანი, ორიანი,
ერთი, ორი, სამი, ოთხი.
თვრამეტი წლის რომ შევიქენ,
როგორც წესი, ჯარში მოვხვდი,
ორ წელიწადს ვიძახოდი:
„ერთი, ორი, სამი, ოთხი".
ოცი წლისა როცა გავხდი,
გავუფინე ქალებს ნოხი,
ცოლების თვლაც შევისწავლე:
ერთი, ორი, ,სამი, ოთხი.
საყვედური, სამდურავი —
როგორც წვიმა, როგორც კოხი...
რომელ ცოლთან რომელი მყავს,
ერთი, ორი, სამი, ოთხი.
დრო გავიდა და უეცრად
პროკურორის მომხვდა ჯოხი:
ალიმენტი მომისაჯა —
ერთი, ორი, სამი, ოთხი.

სამსახურში უფროსად მყავს
ცოლყოფილის ნათესავი,
სათვალავი ამირია:
ოთხი, ორი ერთი, სამი!
გზაზე დამხვდნენ შვილები და
მალოცვინეს დედის ღმერთი,
სულ უკუღმა მათვლევინეს:
ოთხი, სამი, ორი, ერთი.
აღარავის ვეცოდები,
აღარ მშველის „ვახი", „ოხი",
მილიცია, პროკურორი,
ერთი, ორი, სამი, ოთხი.
ყველა ერთად დამესია,
წამომისვეს დიდი ცოცხი,
სიმამრები და სიდედრი —
ერთი, ორი, სამი, ოთხი.
დრო გადმექცა სინანულად
და მიქრება, როგორც ორთქლი,
რა იქნება, კვლავ რომ ვთვლიდე:
„ელთი, ოლი, ცამი, ოთქი".

გ. ივანიშვილი

ნარევი

წუღის ონკანს კეტავს, რადგან იცის, იქიდან ღვინო მაინც არ წამოვა.

სამსახურს აცდენს, რადგან იცის, მაინც სრულ ხელფასს მისცემენ.

შვილს არ ამეცადინებს, რადგან იცის, სკოლას მაინც დაამთავრებინებენ.

სასწორის ისარს არ უყურებს, რადგან იცის, რომ თვითონ არის გამყიდველი.

თეატრსა და კინოში არ დადის, რადგან იცის, მაინც ტელევიზორში აჩვენებენ.

* * *

ისეთი ძალლი ჰყავდა მლიქვნელს, რომ მასზე მაღალი თანამდებობის პირს არასოდეს უყეფდა.

* * *

სპორტსმენს ჰკითხეს: — რამდენი ხანი გჭირდება სამსახურში მისვლამდე?

— ოცდაერთი წუთი და თექვსმეტი წამი! — უპასუხა სპორტსმენმა.

ანდრო კოკოლია

„ნიანგის" საახალწლო ბარათი მკითხველებს!

ჩემო ძვირფასო და საყვარელო მკითხველებო! თქვენგან, 1978 წლის განმავლობაში, 1900 ბარათი მივიღე, მიზიარებდით თქვენს აზრებს, მაძლევდით სიგნალებს, მწერდით ნაკლოვანებებზე, საკუთარ თუ სხვის სატკივარზე. მწერდით პროზად თუ ლექსად (ხან პოემადაც!), ქარაგმად თუ შარჟად... ახლა, ამ ძველი და ახალი წლის მიჯნაზე, მეც მინდა პატარა ბარათით მოგიკითხოთ, ახალი წელი მოგილოცოთ, ბედნიერება გისურვოთ! ჩემი მისამართი მარტო კარგ ხასიათზე მყოფთ მოგგონებოდეთ და მხოლოდ ისეთი ლექსები და ფელეტონები გამოგეგზავნოთ, რომ დაბეჭდილი, თქვენთან ერთად, სხვასაც მოწონებოდეს!

გეფიცებით ჩემს ნიანგურ სინდისს, ყოველი ბარათის შინაარსს განვიცდი, მინდა, ყველას დაგეხმაროთ ჭირში, მხარში ამოგიდგეთ ლხინში, მაგრამ თქვენი სურვილის შესრულებას (გამოგზავნილი მასალების დაბეჭდვას) ყოველთვის თუ ვერ ვახერხებ, ნუ დამემდურებით! წელს ორი ასეული წერილი წყლის ნაკლებობას შეეხებოდა, ამდენივე — გზისა და ხიდის შეკეთებას!.. ყველა რომ დამებეჭდა, წყალი ჩამიდგებოდა გვერდებში!..

კი, ბატონო, სასურველია და საჭიროც, ყოველ სოფელს ჰქონდეს კლუბისა და ბიბლიოთეკის კეთილმოწყობილი შენობები, წყლის მილები, რომლებშიც წყალი მოჩხრიალებს, მოასფალტებული გზები, რომლებზეც ავტობუსები იქროლებენ! იქნება კიდეც! ნათქვამია, სოფელი ერთ დღეს არ აშენებულაო. განა ქალაქში არ არის ნაკლოვანებები?! ჩამობრძანდით, შეხედეთ თბილისის ზოგიერთ ქუჩას, როგორაა გადათხრილი, სოფლის ორღობეს შენატრის, წყალი რომ შეწყდება და მერვე სართულზე ხახამშრალი დარჩები, სოფლის რაკრაკა წყარო მოგენატრება, თუნდაც ტალახიანი ბილიკი იყოს იმ წყარომდე გასავლელი! რაკრაკა წყაროზე გამახსენდა: წყაროსაც უნდა მიხედვა, ხელის განძრევა და გაკეთება, მაგრამ სოფლიდან ქალაქს გადმოსახლებული კაცი, შაბათ-კვირას სოფელში რომ ჩავა, სოფლის აღარც გზა მოსწონს, ფეხით კილომეტრის გავლაც ეზარება და აღარც მამაპაპურ წყაროს სცემს პატივს, აქაოდა, ქალაქელი გავხდი, ჩემს სოფელს უნდა დავეხმაროო, ამ დახმარებას კი საჩივარ-განცხადების დაწერაში ხედავს. თუ ასე შესტკიოდა გული, სოფელში დარჩენილიყო და ეშრომა მის ასაყვავებლად, არ სჯობდა?!

ზოგი რაიონის ადგილობრივ ხელმძღვანელობასაც უნდა ვუთხრა ორიოდე სასაყვედურო სიტყვა: წელს შესამოწმებლად და ზომების მისაღებად 402 წერილი გადავაგზავნე. საქმეს აკეთებენ, მპასუხობენ, თუმცა ზოგჯერ პასუხსაც ეტყობა, რომ მხოლოდ უპასუხისმგებლო პასუხია და მეტი არაფერი!

ზოგი პასუხსაც მიგვიანებს. მაგალითად, გარდაბნისა და ამბროლაურის რაიალმასკომებიდან ახლაც ველოდები დაგვიანებულ პასუხებს!..

წელს ბევრ რაიონს ვერ ვესტუმრე ჩემი ჩანგლით. მომავალში ვეცდები ყველგან მივწვდე.

კეთილი ფეხით მევლოს!

თქვენი „ნიანგი"

— ეს გავშვი შენ გააფუჭე: ჯერ სასიყვარულო ამბებში გარიე და ახლა ქორწილებშიც დაიწყო სიარული!

F-70

F-737

არ შეიძლება შეშფოთება და წუხილი არ გამოიწვიოს პოლიტიკამ, რომლის კალაპოტში ცდილობენ ერთდროულად მოაქციონ მოლაპარაკება განიარაღების შესახებაც და გადაწყვეტილებანი გამალებული შეიარაღების გაძლიერების შესახებაც.

გაზეთებიდან

ნახ. ბ. ლომბიძისა

ამერიკის ადმინისტრაციის ნაძვის ხე

უცხოური იუმორი

ცოლის პატივისმცემელი

— **საით** მიიჩქარით? — ჰკითხა პოლიციელმა მთვრალ კაცს.

— შინისაკენ. საახალწლო შეხვედრიდან ვბრუნდები.

— ტყუილს რატომ კადრულობთ? ახალი წელი ხომ ერთი კვირის წინ იყო?!

— ჰოდა, მეც სწორედ იმიტომ ვჩქარობ, რომ ჩემმა ცოლმა არ ინერვიულოს!

მკვლევარები

— **სადაც** ჩვენ ვიყავით, ისე ციოდა, სანთელი გაიყინა და ვერ ჩავაქრეთ. — თქვა არქტიკის მკვლევარმა.

— ეგ რა არის, — მიუგო მეორემ,— სადაც ჩვენ ვიყავით, იქ პირიდან სიტყვები ყინულის პატარ-პატარა ნატეხებად გვცვიოდა და ვადნობდით, რათა გაგვეგო, რაზე ვლაპარაკობდით.

კიდევ ერთხელ....

— **ალბათ**, ამ ახალი წლიდან ჩემი მძღოლის მოხსნა მრცხვენია! — უთხრა ცოლს ფირმის დირექტორმა, მისი უყურადღებობის გამო კინაღამ ორჯერ დავიღუპე.

— ერთხელ კიდევ მიეცი საშუალება, ძვირფასო! — უთხრა ცოლმა.

მოდური ცეკვა

ბატონო კომისარო, კაფე „ასტორიაში“ საახალწლო მეჯლისზე ელეგანტურმა მამაკაცმა თითქმის ორასი კაცის თანდასწრებით ელეგანტური ქალი დაახრჩო.

— ამდენი ხალხის თვალწინ და ისიც გაჩირაღდნებულ დარბაზში? ნუთუ, არავის შეეძლო ხელი შეეშალა?!

— არა, ყველას ეგონა, ახალ მოდურ ცეკვას ასრულებენო.

ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია

— **ჩემს** მეუღლეს საახალწლოდ მშვენიერი მარგალიტის ყელსაბამი ვუყიდე. — უთხრა ამერიკელმა ბიზნესმენმა მეგობარს.

— მაგრამ მას ხომ საჩუქრად ახალი ავტომანქანა უნდოდა?!

— მერე სად გინახავს, რომ ყალბ ვტომანქანებს ყიდდნენ?!

კეთილი სურვილები

ახალი წლის წინა დღეებში სტუდენტებს უნდა დაეწერათ თხზულება თემაზე: „ბუნების საიდუმლოებანი“. ერთ-ერთმა სტუდენტმა დაწერა:

„ღმერთმა იცის! მე არ ვიცი! ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ, ბატონო პროფესორო!“

რამდენიმე დღის შემდეგ პროფესორმა სტუდენტებს ნამუშევრები რომ დაუბრუნა, იმ სტუდენტმა თავის რვეულში ამოიკითხა:

„ღმერთს — ხუთიანი, შენ — ერთიანი. გისურვებ მხიარულ ახალ წელს!“

გერმანულიდან თარგმნა
შოთა ამირანაშვილმა

737 78
25.XII

მთავარი რედაქტორი **ზურღან გემაზაშვილი** **სარედაქციო კოლეგია:** ზ. ბოლქვაძე (მთ. რედ. მოადგილე) ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოდუა, ბ. ლომიძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), ბ. ნიშნიანიძე. ბ. სიხარულიძე (პ/მგ. მდივანი), ბ. ფირცხალავა, ო. ჯელიძე ● ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი, ● **სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“.** ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, გადაეცა ასაწყობად 23/XI-78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/XII-78 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შეკვ. 3161 უე 00984 ტირ. 141.000 Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги», ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახატი თემების ავტორები: ა. ადეიშვილი, ბ. ლომიძე, ბ. ბერეგელი, ბ. ბერეგელი, ცოტაძე, ბ. ბაბიძე.